04/08/2025

MES 1 25 0000945146

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლა:
გია მაღლაკელიძე - სკოლის დირექტორი

შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლა:
ქეთევან დოჩანაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა:
გიორგი დავითაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლა:
მზიური შავაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლა:
ანა ტაბატაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ბორჯომის N6 საჯარო სკოლა:
ლელა ლაფაჩი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებისავტორიზაციისექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლა:
ა) ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაია ბერიანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა ანდიაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბორჯომის N6 საჯარო სკოლა:
ა)ლელა ფიცხელაური (ზოგადიგანათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მორის დანდურიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებებისსაგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მგალობლიშვილი(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ ვერა გუდაძე(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 21 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2.შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3.სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4.სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5.2025 წლის 26 მარტს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N338340 კორესპონდენციით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა;
6.სსიპ - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ბორჯომის N6 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 და მე-5 საკითხები ეხებოდა ერთსა და იმავე სკოლას, შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული საკითხების მე-2 და მე-3 საკითხებად განხილვა
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2.შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3.2025 წლის 26 მარტს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N338340 კორესპონდენციით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა;
4.სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5.სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6.სსიპ - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ბორჯომის N6 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 20 მაისის N545111 ოქმის მე-12 ნაწილის საფუძველზე, საბჭომ ცნობად მიიღო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ასევე დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა მის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიასთან მისასვლელი გზის გამიჯვნა სკოლის დანარჩენი ტერიტორიისგან, ხოლო, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენისთვის დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2027 წლის მაისი.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნული დოკუმენტი, ექსპერტიზის შედეგად დგინდებოდა, რომ სსიპ-ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამებოდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ..
საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ-ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

2. შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან

განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 10 ივნისის N642800 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ივნისში ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სახანძრო საევაკუაციო კიბის მშენებლობის ამსახველი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ქეთევან დოჩანაშვილის თქმით, დასკვნის მოპოვებისთვის საჭირო ყველა ნაბიჯი ჰქონდათ გადადგმული, რჩებოდათ სახანძრო კიბის მოწყობა. მისი თქმით, ყველა პასუხისმგებელი ორგანოსგან ჰქონდათ მიღებული ნებართვა და კიბის მოწყობის სამუშაოებიც თითქმის დასრულებული იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სახანძრო საევაკუაციო კიბის მშენებლობის შესახებ.
რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ივნისის N642800 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:07
დასრულების დრო: 14:10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2024 წლის 10 ივნისის N642800 ოქმის მე-2 ნაწილში და დაწესებულებას რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2025 წლის ივნისისა, განესაზღვროს 2026 წლის ივლისი.

3. 2025 წლის 26 მარტს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში

შემოსული N338340 კორესპონდენციით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ცენტრში 2025 წლის 26 მარტს შემოვიდა N338340 კორესპონდენცია, რომელშიც ასახული იყო სკოლის მიერ შენობის საევაკუაციო–სახანძრო რკინის კიბის მშენებლობა მიმდინარეობდა გაზსადენ მილზე. ასევე, სკოლის მფლობელობაში არსებული შენობა შენდებოდა დედაქალაქის წყალმომარაგების ძირითად ქსელზე ("წყალსადენი"), ვაკის რაიონის სადრენაჟე მილზე. კორესპონდენციაში, ასევე აღნიშნული იყო, რომ სკოლა სპორტის გაკვეთილებს ატარებდა ქ. თბილისის, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტალში მდებარე სტადიონზე.
ცენტრმა მიმდინარე წლის 31 მარტს №357872 წერილით მიმართა განმცხადებელს
სკოლისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის პერსონალური მონაცემებისა და ცენტრში შემოსული კორესპონდენციის გაზიარების შესახებ. პ აღნიშნულ წერილზე პასუხი ცენტრში არ შემოსულა.
ცენტრმა მიმდინარე წლის 14 აპრილს №410237 წერილით მიმართა სკოლას წარმოედგინა ინფორმაცია (დამადასტურებელი დოკუმენტაციით) და პოზიცია/განმარტება ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებში ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულის პასუხად, ამავე წლის 22 აპრილს ცენტრში შემოვიდა სკოლის N ე25 - 03 კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის N431429) სადაც სკოლა განმარტავდა, რომ აღნიშნულ მისამართზე არსებულ ერთ-ერთ შენობაზე მართლაც მიმდინარეობდა საევაკუაციო-სახანძრო კიბის მშენებლობა, რაზეც სკოლას მიღებული ჰქონდა თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურისგან (წარმოდგენილია დანართი მტკიცებულების სახით). იმის შესახებ, რომ სკოლის მფლობელობაში არსებული შენობა შენდებოდა დედაქალაქის წყალმომარაგების ძირითად ქსელზე ("წყალსადენი"), ვაკის რაიონის სადრენაჟე მილზე, სკოლა განმარტავდა, რომ მიმდინარეობდა არა შენობის მშენებლობა, არამედ მისი რეკონსტრუქცია, არსებულ ორსართულიან შენობაზე ორი სართულის დაშენება. ხოლო სპორტის გაკვეთილების ქ. თბილისის, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტლის სტადიონზე ჩატარების შესახებ სკოლა იუწყებოდა, რომ სკოლას თავის კუთვნილ ტერიტორიაზე ჰქონდა კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, რომელსაც იყენებდა სპორტის გაკვეთილებისთვის. გარკვეულ შემთხვევებში კი იყენებდა თავისი კუთვნილი მიწის მიმდებარედ არსებულ სტადიონებს. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლა განმარტავდა, რომ რამდენიმეგზის ჰქონდათ სატელეფონო კომუნიკაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარე წლის 03 ივნისს ცენტრში შემოვიდა შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლის Nე25-07 (ცენტრში რეგისტრაციის N617355) კორესპონდენცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ 2024 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით, შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართულ სკოლას 9 წლის ვადით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. ამასთან, სხდომის ოქმის თანახმად, სკოლას ვალდებულებად განესაზღვრა 2025 წლის ივნისში ცენტრში წარმოედგინა 3.4 კომპონენტთან მიმართებით დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა-ნაგებობების შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუმცა, წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ 2025 წლის 2 აპრილს სკოლამ მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისგან სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილება №შ-81/25, რომლის თანახმადაც, სკოლა ვალდებული იყო, შეეჩერებინა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №79, III კვარტალი, კორპუსი 15-ის მიმდებარედ, №01.14.04.013.066 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობდა საევაკუაციო კიბის მოწყობა.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს დამატებით აცნობა, რომ მიმდინარე წლის 27 ივნისს ცენტრში შემოვიდა სკოლის №25-11 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის N772613), სადაც წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ სკოლას ჰქონდა მუნიციპალური სპორტული მოედნით სარგებლობის უფლება. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი დეპარტამენტი, მოკვლევის შედეგად, წინააღმდეგი არ იყო ეწარმოებინა საევაკუაციო-სახანძრო კიბის მოსაწყობად დაგეგმილი სამუშაოები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ქეთევან დოჩანაშვილის თქმით, მიმართული ჰქონდათ თბილისის მერიისთვის და არ არსებობდა რაიმე სახის რეგულაცია, რომელიც კრძალავდა მერიის საკუთრებაში არსებული საჯარო სივრცეების გამოყენებას.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას რაიმე სახის შეთანხმება, სპორტული მოედნის კონკრეტულ დროებში გამოყენებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის თქმით, არ არსებობდა რაიმე რეგულაცია, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა რაიმე სახის შეთანხმება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრებმა, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება 2025 წლის 26 მარტს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N338340 კორესპონდენციით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

4. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 06 ივლისის N825530 ოქმის მე-9 ნაწილის საფუძველზე, საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. ხოლო, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენისთვის დაწესებულებას განესაზღვრა 2025 წლის ივნისი.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, გიორგი დავითაშვილის განმარტებით, 2025 წლის 24 ივნისს ცენტრში წარმოადგინეს ექსპერტიზის დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ აღნიშნულ დასკვნაში იკვეთებოდა გარკვეული რეკომენდაციები და დაინტერესდა, გაატარა თუ არა სკოლამ ხარვეზების აღმოფხვრისთვის შესაბამისი ღონისძიებები.
სკოლის დირექტორის თქმით, აპირებდა მიმართვას პასუხისმგებელი ორგანოებისთვის.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, რა ვითარება იყო სკოლის სპორტ დარბაზთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოები და ელოდა დაფინანსებას აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას უნდა წარმოედგინა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან მიწერილობა, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულებისთვის, შესაბამისად, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცენტრის ინფორმირების ვადის ცვლილება
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 06 ივლისის N825530 ოქმის მე-9 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:21
დასრულების დრო: 14:24

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2025 წლის 06 ივლისის N825530 ოქმის მე-9 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, განესაზღვროს 2025 წლის აგვისტო (ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულებისთვის შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან მიწერილობა)

5. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 01 ნოემბრის N1474210 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
2025 წლის 06 ივლისის N825530 ოქმის მე-10 ნაწილის თანახმად, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ადაპტირებული გარემოს მოწყობის მტკიცებულება, შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დასკვნა. N825530 ოქმის საფუძველზე, დაწესებულებას ადაპტირებული გარემოს მოწყობისა და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის წარმოდგენისთვის განესაზღვრა 2027 წლის ივნისი, ხოლო შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნის წარმოდგენისთვის 2025 წლის ივნისი.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორის, მზიური შავაძის განმარტებით ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდათ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, თუმცა სკოლის ინფრასტრუქტურის მეტად გაუმჯობესებისთვის ჰქონდა მიწერილობა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

6. სსიპ - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 400. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს სკოლა ახორციელებდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთსა და ბულბულისციხეში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის ძლიერი მხარეების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემო, ზრუნავდა მოსწავლეებისათვის სწორი ეროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებაზე და სკოლაში გახსნილი იყო ეთნოგრაფიული მუზეუმი. დაწესებულება აქტიურად იყო ჩართული როგორც რაიონულ ისე, რესპუბლიკურ სასწავლო და შემოქმედებით, მოსწავლეზე ორიენტირებულ პროექტებში და ხელს უწყობდა პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებას.
ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, რესურს ოთახი, STEM ლაბორატორია და სხვა.
ექსპერტის განმარტებით, სკოლაში შექმნილი იყო სხვადასხვა მიმართულების კლუბი, ჰქონდა საკუთარი რადიო და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი კოლეჯთან „იკარუსი“.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, სახანძრო უსაფრთხოებისა და მდგრადობის შესახებ დასკვნების მოპოვებასთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდა სკოლას გადადგმული რაიმე ნაბიჯი.
სკოლის დირექტორმა, ანა ტაბატაძემ, აღნიშნა, რომ ელოდნენ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნას, ხოლო, სხვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
საბჭოს წევრმა, ირმა ამირანაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რომ შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით გაცემული რჩევა გაეთვალისწინებინა ყველა საგნის მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა ერთწლიან სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი აქტივობების ვადები (2021-2022 წლები) ტექნიკური ხარვეზი ხომ არ იყო. ასევე, დაინტერესდა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის 7 მიზნიდან რომელი შეესაბამებოდა მისიაში გაცხადებულ მიმართულებებს.
ექსპერტის, ნინო შიუკაშვილის განმარტებით, ერთწლიან სტრატეგიული გეგმა იყო 2024-2025 წლის.
სკოლის დირექტორის თქმით, ტექნიკური ხარვეზი იყო დაფიქსირებულ წლებთან მიმართებით.მისი თქმით, იგი იყო ახლადარჩეული დირექტორი და ეტაპობრივად ინერგებოდა სიახლეები სკოლაში. რაც შეეხებოდა სტრატეგიულ მიზნებსა და მისიას, გაცხადებული ჰქონდათ მოსწავლეთა პროფესიული განვითარება.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, რატომ იყო სკოლისთვის პრიორიტეტული მათემატიკის ლაბორატორიის მოწყობა. აქვე, საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა, დაინტერესდა, რას გულისხმობდა სკოლა მათემატიკის ლაბორატორიის მოწყობაში.
სკოლის დირექტორის, ანა ტაბატაძის განმარტებით, აპირებდნენ არა მათემატიკის, არამედ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობას . მისი თქმით, დაწესებულებას ჰქონდა კაბინეტური სისტემა, რაც გულისხმობდა, რომ იყო ყველა საგნის ოთახი ცალკე და მათ შორის მათემატიკის ლაბორატორიაც აღჭურვილი იყო ყველა საჭირო რესურსით.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, როგორ ხდებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების სწავლება.
სკოლის დირექტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში არ იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, აღნიშნული მიმართულება ისწავლებოდა შეუფერხებლად, ვინაიდან, მასწავლებლები იყენებდნენ თანამედროვე რესურსებს სწავლების პროცესში.
საბჭოს მდივანმა, ნინო ბერიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მეტი დეტალი გაეცნოთ საბჭოსთვის STEM კლუბის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და ასევე, დაინტერესდა, თანამშრომლობდა თუ არა დაწესებულება მასწავლებლის სახლთან.
სკოლის დირექტორმა, ანა ტაბატაძემ, აღნიშნა, რომ STEM კლუბი შეიქმნა მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით და მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა კონკურსში და თანამშრომლობდნენ მასწავლებლის სახლთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 14:49
დასრულების დრო - 14:53

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 243873965) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიშხეთი. ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბულბულისციხე.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიშხეთი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიშხეთი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ივლისში 3.4, 3.5 და 2.2 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დასკვნების, სკოლის შენობის ადაპტირების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობისა და 2025 წლის სექტემბერში შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან თანხვედრაში მოსვლის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ - ქალაქ ბორჯომის N6 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბორჯომის N6 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 27 და 28 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 535. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 535 მოსწავლისთვის, ორ ცვლაში.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია),და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა “ნაწილობრივი” შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო, აღჭურვილი იყო ყველა საჭირო მატერიალური რესურსით.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, შესაბამისობის გეგმით გაწერილი ვადებით და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რატომ ესაჭიროებოდა დაწესებულებას გარკვეული ღონისძიებების გასატარებლად დიდი დრო.

ექსპერტის, ლელა ფიცხელაურის განმარტებით, სკოლისთვის უმჯობესი იყო განესაზღვრა უფრო მეტი დრო და ვადაზე ადრე შეესრულებინა გარკვეული რეკომენდაციები, ვიდრე დაერღვია იგი.
აქვე, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა გამოცხადებული ჰქონდა თუ არა მასწავლებლისა და ექიმის ვაკანსია.
სკოლის დირექტორის, ლელა ლაფაჩის თქმით, შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული და ვინაიდან არ ჰქონდათ მიღება-ჩაბარების აქტი, შესაბამისად, არ ჰქონდათ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, აქვე, დასძინა, რომ კედლებს ჰქონდა გარკვეული ხარვეზი და ესაჭიროებოდა გარკვეული სამუშაოები. მისი თქმით აღნიშნულ დაწესებულებაში სასწავლო პროცესი დაიწყო 2025 წლის მე-2 სემესტრიდან. მუსიკის მასწავლებელთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ მოწვეული ჰყავდათ მუსიკის მასწავლებელი და ამის პარალელურად მუდმივად აცხადებდნენ მასწავლებლის ვაკანსიას, ხოლო სკოლის ექიმი გადიოდა დეკრეტულ შვებულებაში და მისი გასვლის შემდგომ, გამოაცხადებდნენ ექიმის ვაკანსიასაც.
საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მუდმივად გამოეცხადებინათ ვაკანსიები, რადგან ექიმისა და შესაბამისი კვალიფიციური თანამშრომლის გარეშე სკოლის ფუნქციონირება იყო შეუძლებელი.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, მიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტს, დაეზუსტებინა, რას გულისხმობდა დასკვნაში ასახულ გარემოებაში, რომ „კურიკულუმებში იკვეთებოდა მცირედი გამოწვევები“, ასევე, აღნიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმში არ ჩანდა როგორ გადიოდა მასწავლებელი სასწავლო მიზანზე, ასევე, ისტორიაში არ იყო დაკონკრეტებული რა შემთხვევაში რომელ ქულას წერდა მასწავლებელი.
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის, მაკა ყიფშიძის განმარტებით, საბაზო საფეხურზე აღნიშნული პრობლემა იყო მხოლოდ მე-8 კლასში და ვინაიდან მთლიანად საფეხურს არ ჰქონდა ხარვეზი, მხოლოდ რჩევით შემოიფარგლნენ ექსპერტები.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის, ლია ბოგვერაძის თქმით, გამოწვევები ეხებოდა STEM მიმართულებას, შეფასების რუბრიკებს, თუმცა, ვინაიდან მასწავლებელთა ინტერვიუს პერიოდში გაცემული რჩევებიაღმოფხვრილი იყო, საჭიროდ არ მიაჩნდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაწერა.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, ანა ანუშიძის განმარტებით, შეფასების რუბრიკების დახვეწისთვის დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა და მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა გაეთვალისწინებინათ ყველა რჩევა და რეკომენდაცია.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, რამდენი მასწავლებელი ჰყავდა სკოლას ისეთი, რომლებიც ვერ ადასტურებდნენ კვალიფიკაციას და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ გადადგმული რაიმე ნაბიჯი.
სკოლის დირექტორის თქმით, მუსიკისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ვერ აკმაყოფილებდნენ კვალიფიკაციას.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, თუ ჰქონდა სკოლას რაიმე მონიტორინგის მექანიზმი, რითაც დაადასტურებს, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ზეპირსიტყვიერად გაცემული რჩევები გათვალისწინებული იყო.
ექსპერტის, ლელა ფიცხელაურის განმარტებით, დაწესებულებაში იგრძნობოდა ანგარიშვალდებულების გრძნობა და გაწერილი იყო თითოეულ საკითხზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა, ისეთ ტექნიკურ საკითხს, როგორიც იყო ზეპირსიტყვიერად გაცემული რჩევების გათვალისწინება, ექსპერტი ვერ დაადასტურებდა.
სკოლის დირექტორმა, ლელა ლაფაჩმა, აღნიშნა, რომ ეტაპობრივად ხორციელდებოდა მონიტორინგი გაკვეთილებზე დასწრებისა და უკუკავშირის მიღების ფორმით. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევები და რეკომენდაციები აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, ამწოვი კარადისა და სადემონსტრაციო მაგიდის მოწყობასთან დაკავშირებით რა ვითარება იყო დაწესებულებაში.

სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ სადემონსტრაციო მაგიდა მოწყობილი იყო STEM ლაბორატორიაში და საჭიროების შემთხვევაში, გაწერილი ცხრილის თანახმად, იყენებდნენ აღნიშნულ ლაბორატორიასაც, თუმცა, სამომავლოდ აპირებდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვასაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ქალაქ ბორჯომის N6 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 535 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 15:23
დასრულების დრო - 15:35

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ქალაქ ბორჯომის N6 საჯარო სკოლას (ს/კ: 226157360) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 535 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბორჯომი, შოთა რუსთაველის ქუჩა N55
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბორჯომი, შოთა რუსთაველის ქუჩა N55
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო	ქართული	ქალაქი ბორჯომი, შოთა რუსთაველის ქუჩა N55

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში 1.2 კომპონენტთან მიმართებით, ერთწლიანი და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის, 2026 წლის ივლისში 3.1; 3.4; 3.5; 2.2 კომპონენტებთან მიმართებით, კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიციური კადრების დასაქმების, ექიმის კაბინეტის აღჭურვის, განახლებული აზომვითი ნახაზისა და საჯარო რეესტრიდან ამონაწერის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ამწოვი კარადისა და სადემონსტრაციო მაგიდის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 15:40 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე